

სასწავლო მასალასთან და დავალებასთან მუშაობის ინსტრუქცია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრონული კომპონენტებით სწავლების პლატფორმის (პლატფორმა) მისამართია: **elearning.gtu.ge**

1. პლატფორმაზე შესვლის შემდეგ დაინახავთ იმ სასწავლო კურსებს, რომელსაც მიმდინარე სემესტრში გადიხართ.

The screenshot shows the top navigation bar of the e-learning portal with the Georgian Technical University logo and name in both Georgian and English. Below the navigation bar, there is a 'My courses' section with four course cards. Each card lists the course title and the teacher's name. To the right of the course listings is a 'Main menu' section with the title 'ინსტრუქცია' (Instruction) and a list of contact information for the e-learning department, including phone numbers and email addresses.

2. აირჩიეთ სასურველი კურსი. სასწავლო კურსის არჩევის შემდეგ, ეკრანზე გამოდის კურსის ფანჯარა, რომელიც დაყოფილია 15 კვირად.

The screenshot shows the course details page for 'ინფორმაციული სისტემების პროექტების მართვის საფუძვლები'. The page is divided into sections for 'I კვირა' (Week I) and 'II კვირა' (Week II). Under 'I კვირა', there are three items: 'საინფორმაციო პროექტების მართვის მოქნილი მეთოდოლოგია SCRUM', 'SCRUM მეთოდოლოგია: შესავალი და ძირითადი ცნებები', and 'SCRUM მეთოდოლოგია: ძირითადი ცნებები / დამატებითი მასალა'. The first item is checked. Under 'II კვირა', there is one item: 'დავალება 1', which is also checked. Red arrows point to the course title and the 'დავალება 1' item, with labels 'სასწავლო მასალა' and 'დავალება' respectively.

სასწავლო მასალასთან მუშაობა

თითოეულ კვირაში ატვირთულია სასწავლო მასალა და დავალებები. სასწავლო მასალა შესაძლოა იყოს სხვადასხვა ტიპის ფაილები, მათ შორის PDF, ტექსტური, პრეზენტაცია, ვიდეო, აუდიო და სხვა.

სასწავლო მასალაზე დაკლიკებით შეგიძლიათ გაეცნოთ მოცემულ მასალას ონლაინ გარემოში ან გადმოწეროთ (Download).

დავალებასთან მუშაობა

1. დავალების მისაღებად და შესრულებული დავალების ასატვირთად გამოიყენეთ ბმული **დავალება**.

დავალებაში მოცემულია შესასრულებელი დავალების მოკლე ინსტრუქცია, დავალების ჩაბარების სტატუსი და დროითი მიჯნები (Deadline).

დავალება 1

შესრულებული დავალება ატვირთეთ Word-ის ან pdf ფორმატში


პროექტების მართვის რომელი მეთოდი უარმოდგენილი ნახაზზე?
აღწერეთ ამ მოდელის მუშაობის პრინციპები, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

დავალების ჩაბარების სტატუსი

დავალების ჩაბარების სტატუსი	არ ყოფილა მცდელობა
შეფასების სტატუსი	არ არის შეფასებული
Last modified	-
წარდგენის კომენტარები	► კომენტარები (0)


დაამატე წარსადგენი დოკუმენტი

2. შესრულებული დავალების ასატვირთად დააჭირეთ ღილაკს **დაამატე წარსადგენი დოკუმენტი (Add Submission)**.



3. ეკრანზე გამოსული ფანჯრის ველში „შეგიძლიათ აქ გადმოათრიოთ თქვენი ფაილი დასამატებლად“ (You can drag and drop files here to add them) გადმოათრიეთ ასატვირთი ფაილი ან

ისარზე დაჭერის შემდეგ, გამოსულ დიალოგური ფანჯრიდან, კომპიუტერიდან ატვირთეთ ფაილი ბრძანებათა შემდეგი მიმდევრობით: ატვირთეთ ფაილი → Choose File → ატვირთეთ ეს ფაილი (Upload file → Choose File → Upload this file).



4. ფაილის ატვირთვის შემდეგ, ასატვირთ ფანჯარაში გამოჩნდება ატვირთული ფაილი, რის შემდეგაც დავალების გაგზავნა უნდა დაადასტუროთ ღილაკით **დაიმახსოვრე ცვლილებები (Save Changes)**.

ინფორმაციული სისტემების პროექტების მართვის საფუძვლები


Home / My courses / 2247 / III კვირა / დავალება / Edit submission

დავალება

შეიტანეთ დავალების ტექსტი

File submissions Maximum file size: 50MB, maximum number of files: 3

Files


დავალება.d...

[SAVE CHANGES](#) [CANCEL](#)